თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №52
2026 წლის 3 ივნისი

ქ. თერჯოლა

„საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 სექტემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 სექტემბრის №19 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 010250020.35.126.016413, 07/09/2023) და დადგენილების დანართის მე-2 მუხლის 3^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„3^1. საქართველოს კანონის ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი „103-ე, 103^2, 148-ე და 151-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ოქმს – საჯარიმო ქვითარს ადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური (ს/კ 431945274).“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 ივლისიდან.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **სოსო ჩაფიჩაძე**